სოფლის სურათები

1891-1893 წლები

I

მრავალგვარია სოფელი, მისი მდებარეობა, მცხოვრებთა ზნე-ხასიათი, ერთი საზოგადო თვისება სოფლებს ისა აქვს, რომ აქა ჰბუდობს უმეცრება, დათარეშობს ცრუმორწმუნეობის გუნდი, აქა მეფობს უზრუნველობა, თუმცა კეთილ ცხოვრება კი, სიმართლით რომ ვსთქვა, სოფელსაც უყვარს და გრძნობა თავის დაცვისა ხელში ფარად აღუპყრია. უნივერსიტეტად სოფელს ქადაგ-მკითხავების ქომახობა დაუფუძნებია, სადაც გონიერებისა და ზნეობის გაკვეთილებს მცხოვრებთ უვიცნი, უმეცარნი და ბრიყვნი მამანი და დედანი უკითხავენ.. უმთავრესი სოფლის მოთხოვნილება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ერთადერთი, გაძღომაა. როცა ჰშიან სოფელს, მარტო მაშინ ამუშავებს გონებას სიცოცხლის საღსრის მოსაპოვებლად, და როცა გაიძღობს კუჭს, მაშინ გონებას დააძინებს, აღარა სწადიან ფიქრი, სჯა, მოსაზრება რადა, რისთვის ? თითქოს გაძღომა როგორც შედეგი მეცადინეობისა, ფიქრისა, იმავე დროს მიზეზიცაა გონების აღფრთოვანებისა, „სწავლა შევიძინო“-ს სურვილის აღორძინებისა ? იმიტომ, რომ მარტო გაძღომაა სოფლის საგანი, მარტო გაძღომაში ჰხედავს კაცის დანიშნულებას. სოფლის იდეალი ფეხმოკლე და ფრთაშეკვეცილია. ამაზე მეტი არ უსწავლია, ამაზე მეტი არავისაგან არ გაუგონია. ან კი გაძღომას რა სწავლა უნდა, დედის მუცლიდამვე თანა ჰყვება ყველა სულიერს. განა მარტო ადამიანს მოკლედ რომ ვსთქვა, მოსანათლავია ხელახლად სოფლის გონება და მონათვლით კი მაშინ მოინათლება, როცა სოფელს აზრი ესტუმრება, სხვა აზრი, გარდა გაძღომისა და ისიც ისეთს პატივისცემას მოიპოვებს, ისეთს ეხტიბარს აიკეთებს, როგორიც პირველსა აქვს გაკეთებული.

დიაღ, ეს ასეა და ყველაზე მეტად საყურადღებო ჩვენში სოფელია, - ჩვენი ძალა იქ არის დამარხული. ღვთით, თითო-ოროლა კაციცა ჩნდება სოფელში მადლიანი, მაოწადინებული, არგოს რამ სოფელს, მოიყვანოს გონზე, მაგრამ სასოწარკვეთილება ჰრჩებათ ბოლო დროს გულში. რადა ? მადა, რომ საქმეს უხეიროდ ჰკიდებენ ხელსა, ხალხს სანამ გაიცნობენ, მანამ ერჩიან საქმეს და თვით საქმისაც არ იციან, საიდან დაიწყონ და სად გაათავონ..

II

თუ მკითხველსაც ახსოვს, სოფლისა ცოტაოდენი ვალი გამყვა. ვგონებ, ახლა კი დროა, რომ გავუსწორდე. არა, მე იმას ვალს არ შევინარჩუნებ, მაგრამ თავდაპირველად ის უნდა ვიკითხო : რა არის სოფელი ? „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა? „ - ამის მთქმელს სოფლად მთელი ქვეყანა აქვს სახეში, რასაკვირველია, და მე კი - მხოლოდ ის სოფელი, რომელიც ქალაქებს გარშემო ახვევია, სადაც სძინავს ფიქრს კაცისას ტკბილის

ძილით, სადაც მყუდროებაა, სადაც აზრი მძლევრადაც არ გაიჭაჭანებს და თუნდა იგი, როგორც გაზაფხულზედ მერცხალი, შეფრინდეს საიდგანმე, უეჭველად კაკლის ფუღურო უნდა მოძებნოს ბინად, კაცის ტვინის მაგივრად, და იქ მოიკალათოს, სადაც სცხოვრობენ ნინიკა-პეტრიკები, ბერუები, მუსაკნი მიწისა, ხელ-თოხ-ნიჩაბ-ბარიანები, მკერდოფლიანნი, გულით მართალნი, აზრით ცამქრალნი, სწალის მონატურნი მზამზარეულად და ცოდნის მოსახვეჭად ხელგაუნძრეველნი..

მე ისევ პირველს საკითხავთანა ვარ : რა არის სოფელი ?.. რამდენი რამ იწერება სოფელზედ, სოფლიდგან, და ერთმა არა ჰკითხა თავის თავს, რა არის სოფელი, რასა ჰგავს სახითა და იერი ? ალბად ადვილი არ უნდა იყოს ამ საკითხავზედ პასუხის მიცემა და ამიტომაც ვერავინ ჰბედავს. მართლაც არ არის ადვილი: ჯერ ერთის კაცის დასურათება სჭირს და ამოდენა ტომა-ბერუეების საერთო ხასიათის ჯამად შეკვრა, გამონასკვა, სახელის დარქმევა ადვილად გასაბედავი არ უნდა იყოს.. რა არის სოფელი, რასა ჰგავს იი ? სოფელი თქვენთვის არ ვიცი რაა და ჩემთვის სწორედ ზღვაა, ისეთი ზღვა, რომელსაც რომაელთ ღმერთს იანუსსავით ორი თავი აქვს. როგორც მოგეხსენებათ, რომაელების ღმერთი იანუსი ქანდაკებული ორთავიანი იყო: ერთის თავით იცქირებოდა წარსულისაკენ დაღვრემილის, დაფიქრებულის სახით, თითქოს თვალებით ეუბნებაო წარსულს.. წადი, მშვიდობითო, მაგრამ თანაც ენანება მისი განშორებაო, მეორე სახით მხიარულად შესცქეროდა მომავალს.

დიაღ, სოფელიც ის ორთავიანი, თუ შეიძება ასე ვსთქვათ, იანუსიანი ზღვაა, მაგრამ განსხვავებული. რგორ ? ერთის თავით თუმც ღმერთ ნაუსსავით მჭმუნვარედ გაჰხედავს წარსულს, ხოლო მეორე თავი, იმის მაგივრად, რომ მომავლისაკენ მოიბრუნოს, შავის მიწისაკენ დაუხრია, თითქოს იქ არის დამარხული იმისი მომავალი, თითქოს იქ უნდა ამოიკითხოს თავისი მომავალი ბედიღბალიო. სოფელს სწამს, უყვარს წარსული, აწუხებს აწმყო, მომავალს რად უწყრება ? იმიტომ, რომ არა აქვს პოლიტიკური იდეალი. უიდეალო ცალე აღებული ადამიანიც ხომ ასეთია! სოფელი რომ აწმყოს რიგიანად ჰმართავდეს, რიგიანს გზაზედ აყენებდეს, გასამტყუნარი არ იქნებოდა, რადგან ნაყოფიერი აწმყო ნაყოფიერს მომავალს მოიტანს ხოლმე, მაგამ მაგარი ისაა, რომ აწმყოც თავისებურად ესმის ამ ორთავა ზღვას, თავისებურად, ე.ი კუჭის მხრით. დაჰვიწყებია, რომ „არა მარტო პურითა სცხოვნდების კაცი“. ღმერთი ხომ სწამს და სწამს სოფელს, მაგრამ ხანდახან იმასაც სამდურავს გამოუცხადებს ხოლმე : „შე დალოცვილო ღმერთო, რატომ არ მოჰხედავს სოფელს, რატომ არაფერს უშველი, რად იმეტებ სოფელს, რომ ხან სეტყვას მოუვლენ და ხან გვალვასაო?!“. სოფელს თავისი ჭკუა აქვს, ახირებული, ჯიუტი. ღმერთის უნდა ამ ჭკუაზედ გაატაროს. რა კაი საქმეს იზამდა, მართლაც, ის დალოცვილი ღმერთი, რომ ერთხელ მაინც ჩამოეძახნა სოფლისათვის მაღლიდგან მრისხანედ: „ჩემი ნებაა და არაგშველი, არა ხარ ღირსი და იმიტომაო!“. მაშინ უნდა გენახათ სოფელი, რამდენს კითხვებს მიაყრიდა დამბადებელს : „რითა, შენ გენაცვალე, რატომ არა ვარ ღირსი, გამაგებინე, შემატყობინე, რომ ისე მოვიქცე, როგორც შენ დამარიგებ, რასც შენ მიბრძანებ?!“ ღვთისა წინაშე, მოიქცეოდა კიდეც სოფელი

ისე, როგორც უფალი უბრძანებდა: ამას არა სტყუის- სოფლისათვის ციურს ხმას დიდი ძალა აქვს..

ეს ზღვა როდის ჰღერავს ? მაშინ, როცა სოფლის სიცოცხლე, მისი არსებობა ფათერაკში ვარდება: სოფელი მაშინ აიცქვეტს ყურებს, მაშინ დაიწყებს ტორტმანს, ფიქრს, პირველად მაშინ წამოიძახებს ზალაუნებურად: „რათა, რისთვინაო, ჩემო ძმაო?! მაშ სოფელი უნდა დაიღუპოს ? ვაჰ, დედას ჩემი მტრისასა!.. აბა, სოსიკო, აბა პეტრიკო, აბა, ნინიკო, ვიფიქროთ, ჩვენს თავს მოვუაროთ, თორემ ცუდად არის საქმე, ვიღუპებით, კაცებო!“.. ამ „რათა, რისთვინას“ დიდი მნიშვნელოა აქვს, ვინც იცის, მაგრამ სოფელი, საუბედუროდ, მანამ არ გაუჭირდება, როდის ხმარობს ამ სიტყვებს. ეს „რათა“, „რისთვინა“ მიზეზის ძებნას მოასწავებს და ვინც ამ სიტყვას ხშირად იგონებს თავის მდგომარეობის შესახებ და კარგად შეიგნებს, კაცია თუ სოფელი, იგი არ იღუპება, იმის საქმე კარგად მიდის ამ წუთისოფელში.

დიაღ, როცა ხიფათი რამ დაატყდება თავზედ, მაშინ იფხიზლებს სოფლის გონება, სოფელი მაშინ ეძებს მცოდნე კაცს. ცოდნას სოფელი პატივსა სცემს. მოემატა სოფელს ხარჯი: „აბა, მცოდნე კაცო, თუ იცი რამ, ეხლა გამოგიჩნდება - დაგვიწერე ქაღალდი, გაგვიძეხ „მთავრობაში“, შეატყობინე სოფლის დარდი და ვარამი, სოფლის ბეჩაობა, გაჭირვება, მოახსენე ქვეყანასა იღუპებაო. ხემწიფე არ დაგვღუპავს, ხემწიფე არ გაიმეტებს სოფელს დასაღუპავად. მაგრამ ემასაც ბევრი მრჩეველები ჰყავს. იმ მრჩეველებზედაც მივართოთ ქაღალდი ხემწიფეს, რომ იმათ არაფერი გაუგონოს. თუ არ იქნებაო, ესეც ჩაგვიწერე: ბარემ მოგვიყუდეთ ზარბაზნები და ცოლ-შვილიანად ამოგვჟუჟეთო!“.

ხარჯის მომატება სიკვდილზე მეტად აშინებს სოფელს, ხარჯის მომატებას დედ-მამაზედ მეტადა ჰგლობობს სოფელი. ან კი რა ჰქნას, სიცოცხლე სიამოვნებისათვის“ უნდა კაცსა; სიღარიბე სიამოვნების ნაცარტუტია, სიცოცხლის შხამია. დიოგენი როდის გახლავსთ სოფელი, ბოჩკაში შეძვრეს და თავს ბედნიერადა ჰრაცხდეს, ესტუმროს ისეთი წარჩინებული მეფე, როგორიც ალექსანდრე მაკედონელია, და უთხრას: „რას მთხოვ, რომ აგისრულოო“ და იმან უპასუხოს: „ცამოდექი, მზედ ნუ მიჩრდილებო“! აბა ერთი სოფელს მიჰმართოს ამ წინადადებით იმისთანა წარჩინებულმა კაცმა, როგორიც ალექსანდრე იყომ, მაშინ ჰნახავთ, სოფელი რასაც მოსთხოვდა. ასა, როგორა გგონიათ ? ერთის სიტყვით მოგახსენებთ: ძველი დროება დამიბრუნე, შენი ჭირიმე ბატონო, ძველი დოება, ხოლო ბაყონყმობა კი არ მინდაო.

- ძველი დროება უბატონყმოდ როგორ იქნება, რასა ჰბრძანებ, სოფელო ?
- ბატონი არ მინდა, უბატონოდაც იოლად გამოვალ.
- ძველი დროება რომ დაბრუნდეს და თანაც ძველი ბატონები დაცოცხლდნენ, მერე ?
- არა, ისინი ნუ დაცოცხლდებიან. რა იმასთან სახსენებელია ესენი და ნეტავი, შენის კრგად ყოფნით, თამარ ნეფე კი გააცოცხლა, ვაჰმე!
- რადა გგონია, რომ ბატონები არ გაცოცხლდებიან ძველს დროსთან ერთად?

- რასა ბძანებ, ღმერთი გადღეგრძელებს, აღარ ინდომებდენ ბატონობას. წინ მიტანილ პურის წამაც ეზარებათ და, თუ არ დაგიშლია, ყმების ალიან-ჩალიანს გამოუდგებოდენ?
- რად გინდა მაშ ძველი დროება?
- იმიტომ, რომ ჩაფი ღვინო აბაზად ყოფილა და კოდი პური- ექვს შაურად.
- მაშ ლეკებს, სპარს-ოსმალებს რა ვუყოთ, დავჭრათ ყელები ?რად დაგავიწყდა, სოფელო, როგორც ნაცარტუტას გადენდენ! ხომ გაგხსოვს ლეკების გზის პირებზედ სანგალ-საყუჩები, რომ კაცს აღარ გაევლნებოდა, ან იდუმალ მოსული ტყვია მოჰკლავდა, ან თავზედ გაპრიალებული ხანჯალი ?
- აბა მაშინ დავაფასებდით ერთმანეთსა, მაშინ შევიყვარებდით ერთი მეორეს, სხვისი სიცოცხლე ჩემსავით დამიფასდებოდა, მტერთან გამომადგებოდა. ეხლა ერთის სიცოცხლე მეორის სიკვდილად გადაქცეულა. აბა პირი და სიყვარული მაშინ იქნებოდა. ახლა ერთს მეორე აღარ ესაჭიროება: თუ სუსში მოწმად საჭირდა, ერთ-ორს არაყს გადააკვრევინებს და გათავდა საქმე.
- მაშ არც „კანცელარია“ და სუდია-მამასახლისები გინდა ?
- არა, არა, ღმერთმა მშვიდბა მისცეთ, ცაში ჰქონდეთ იმათ ბინა, იქ ისამართლონ.
- მაშ არც ძუაგამონასკულ ცხენით „ვარსკვლავივით“ გამობრწყინებული ჩაფარი გინდა ?
- ჰოი, ღმერთმა დასწყევლოს!.. არა, არა, შენი ჭირიმე.
- მაშ არც სუდია, არც ნაჩალიკი?
- მართალია, ისინი დიდი კაცებია, მაგრამ ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, უიმათოდაც იოლად გამოვალ.
- შენ, სოფელო, როგორც გატყობ, დიამბეგობა მოგწყურებია.
- დიამბეგობა ? ოი, ღმერთმა დასწყევლოს, დაშამათოს დიამბეგიცა და იმის საფლავ-სამარეცა!.. არა, შენ გენაცვალე, ნრც ეგრე გაიმეტებთ სოფელსა.. ღმერთი ხომ ჰხედავს, თუ კაცნი ერთმანეთს ვერა ვხედავთ!
- შენ, როგორც გეტყობა, ტყის ნადირივით მოგწადინებია თავისუფლად ნავარდობა უუფროსოდ, უხარჯოდ?
- არა, შენი წირიმე, როგორ შაიძლება. განა მაგდენიც არ ვიცი! ჯერ ცხვრები არ დადიან უბელადოდ, ისინიც თხას ირჩევენ „ქეჩად“. არა, შენი ჭირიმე, უფროსიც მინდა, ეგეთი კი არა, როგორიც მოგახსენე, და ხარჯსაც ვიკისრებ, რაც ჩემს საწყლობას შაეფერება, რაც შამიძლიან.
- სწავლა, სკოლა არ გინდა ?
- სწავლაც მინდა, მაგრამ ეგეთი კი არა, ჩვენმა „ატუკანტმა“ ნიკორამ რომ იცის: სხვისა ღლეტა-ცვეთისა. ეგეთი სწავლა ხელს არ მომცემს.

  ბევრს რასმე ითხოვდა სოფელი, მაგრამ ზოგს სათხოვარზედ უნდა სდუმდენ ბაგენი ჩვენნი და სოფლისანიცა.

III

რა იყო ძველს დროი სოფელი ? სოფელი ძველს დროში ძალა იყო, მოქმედი ძალა , ამიტომ ამაყი და თავმოყვარეც იყო. დღეს კი, მობუზულია, დღეს იგი იარაღია ათასის „ჭკვიანის“ ხელში... მცირეწლოვანი მამულ-დედულის პატრონი ობოლო ძალას როდიღა შეიცავს, მისი ძალა მის „აპეკუნის“ ვინაობაშია, შერთულ-შერეული.. ვითომ რას უშლის „აპეკუნი“ ობოლს ? არაფერს იმის მეტს, რომ ობლის სარჩო-საბადებელი „აპეკუნის“ საჭმელ-სასმელადაა გამხდარი, თვითმოქმედება ობლისა კი გაუქმებულია ამის გამო.

რად იყო სოფელი ძალა ძველს დროში ? რა ასუქებდა ამ ძალას ? სოფელი ძალა იმიტომ იყო, რომ მაშინ ყველაფერი ხელს უწყობდა, უმართავდა: მთა, ტყე, წყალი, თვით მისნი წევრნი და თვით გარს შემორტყმულნი მტერნი; სოფელი მაშნ თავის თავს ეკუთვნოდა. ეს კარგად შეგნებული ჰქონდა და დღესავით ცხადი იყო იმისთვის და ამიტომ სოფელი ძალა იყო; ძალა იყო და იმიტომ გასძლო დღევანდელამდის, იმიტომ შეინახა თავისი სახელწოდება; დღეს ნუთუ სოფელი აღარ უნდა იყოს ძალა, დღეს, როცა მეტი ჭკუა მოვიდა და მეტი გამოცდილება, მეტი სინათლე ? - აქვს ძალა დღესაც სოფელს, მაგრამ ეს ძალა გულშია დამარხული, იქ განისვენებს მოუსვენარის ძილით.

აქ ნდა შევჩერდეთ ცოტახანს. დიაღ, შევჩერდეთ ჯერ და შემდეგ გატეხილი უნდა მოგახსენოთ..

სოფლის ზალას ხომ მოუსვენარის ძილითა სძინავსო, ვსთქვი, მაგრა ამ ძილის დროს სიზმარსა ჰხედავს. ეს სიზმარი უნდა მომავალში ასრულდეს, - როგორ, რა გზით, საიდამ ? - ამაზედ თითონ ეს ძალა იძლევა სხვადასხვა პასუხს და აუსრულებლობა კი „არ შეიძლება“-ო.

რას აკეთებდა ძველს დროში ჭკვიანი კაცი და ან ეხლა რას აკეთებს?

-ძველს დროშ სოფლის ჭკვიანი კაცი სხვა იყო და ეხლანდელი ჭკვიანი სხვაა. წინად იმას ბევრი საქველმოქმედო საქმე ებარა. სოფლის მოკეთისა და მტრის დახვედრა, სოფლის შინაურ საქმეების წარმოება იმას ებარა და აწარმოებდა კიდეც სოფლისავე სასარგებლოდ. „სოფელი ვინა და ერთი კაციო“, იმიტომ ამბობდენ ძველები, მაგრამ მაშინაც ბრმად როდის ემორჩილებოდა წკვიანს კაცს სოფელი ? არა, სოფელი ჰხედავდა ჭკვიანის კაცის მოქმედებაში თავის სარფა-სარგებლობას, აგრეთვე იმის რჩევაში, და იმიტომ მისდევდა იმას კვალდაკვალ, პატივსაც იმიტომ სცემდა, ფეხზედ წამოუდგებოდა, როცა ჭკვიანი სოფლის ყრილობაში გაჩნდებოდა ყავარჯენს დაბჯენილი. იგი წამალი იყო სოფლისა და, როგორც სნეულს ალაღებს და აიმედოვნებს წამალი, ისე სოფელს აძლევდა იმედს ჭკვიანის კაცის ყოლა. ჭკვიანია, მაგან იცის ჩვენი ავი და კარგიო, ავს არ მოინდომებს სოფლისათვისაო. მარტო ენით როდი იყო ჭკვიანი კაცი სოფლისათვის სასრგებლო, არამედ თავის მარჯვენითა და ოფლითაც; იმას ძლიერი მარჯვენა ჰქონდა ლაშქრობის დროს და მშრომელი-მშვიდობიანობაში... ობოლი და ქვრივ-ოხერი იმის მარჯვენა ძუძუთი იკვებებოდენ; იმას ოჯახიშვილს ეძახდენ, იმას „კაცი“ ერქვა სახელად. აი კაცი ის არისო, - ამბობდა სოფელი...რასა ჰგავს ეხლანდელის დროის ჭკვიანი კაცი სოფლისა ? რას აკეთებს მისი ჭკუა ?

-ეხლანდელი სოფლის ჭკვიანი კაცი სულ სხვა კურისაა, სრულიად სხვა რამ არის. განა როგორც ძელს დროში უცქეროდა სოფელი წკვიანს კაცს, ეხლაც ისე უწცერის? ეს თითონ ჭკვიანის ბრალია და არა სოფლისა. როცა ეხლანდელი ჭკვიანი და სოფელი პირისპირ შეიყრებიან, უკანასკნელი პირს იღმეჭს და ამბობს: ნეტავი შენს დანახვას შავი კატა დამენახაო.. რად ამბობს ამას სოფელი, რა საბუთი აქვს? იმიტომ, რომ ეხლანდელმა ჭკვიანმა ჭკუასთან ერთად ნამუსიც დაჰკარგა; იმას ოჯახი აქვს, მაგრამ ოჯახიშვილს სოფელი აღარ ეძახის, რადგან მადლი აღარ ტრიალებს იმის ოჯახში, საძირკველი ამ ოჯახის „ცოდვაზედ“ სდგას. ეხლანდელი ჭკვიანი სოფლისა იმას კი არა სცდილობს, სოფელს რამ არგოს, არამედ სულ იმის ცდასა და ფიქრშია, სოფელს რამ გამოსცინცლოს, ჩამოათალოს; თავის სარგებლობის გულისათის სოფელს კიდეც გაჰყიდის, თუ მუშტარი გაუჩნდა და ნებაც ექმნა..

რას ჰფიქრობს ამას რომ სჩადის ჭკვიანი ?

-ჩემზედ ჭკვიანები, ჩემზე უფრო დიდები,ასე იქცევიან და მე რატომ აღარ უნდა მოვიქცეო ? ეხლანდელს „ჭკვიანს“ მარტო თავისი თავი, თავისი ვინაობა ახსპვს. ეხლანდელს ჭკვიანს დიდი ცოდვა აბა კიდეც იმიტომ აძევს კისერზედ, რომ მარტო თავისი თავი ახსოვს, - შემდეგ სოფლისა რომ ახსოვდეს, ან მე 0რა მეთქმოდა, ან სოფელსა?!

რადღა ამაყობს და მედიდურობს ეხლანდელი ჭკვიანი?

-იმიტომ, რომ ამ მედიდურობას და ბღინძავს ბაზარი აქვს, ამითი მოსთოხნის და მოჰხოხნის კიდეც, ჩამოათლის სოფელს მსუქანს ლუკმას. ეს უწყის იმნ. მაშ „წკვიანი“ რად არის, თუ ესეც არ იცის?! არა, იმან კარგად იცის და ნათლად ჰხედავს, რომ სხვადასხვა „ჭკვიანიც“ იმიტომ ამძიმებს თავსა, რომ სასწორში მძიმე მოვიდეს..

წინანდელი ჭკვიანი კაცი სოფლის მტერს მეტერებოდა, ებრძოდა; ეხლანდელი წკვიანი სოფოის მტერს მხარს უჭერს, უმოყვრდება, ზავს იჭერს იმასთან: შენცა ჭამე, მეც მაჭამეო. იგი დღეს მარტო მოხვეჭაასღა ჰფიქობს. სახელს, სოფელში „კაი ხსენებას“ არ დაგიდევს, სახელი რას მიქვიან უსახრავოდაო? ასეთი ადამიანია დღევანდელი „ჭკვიანი“ სოფლისა..